საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

N 24834/1
27/11/2023

24834-1-2-202311271425

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ *(შემდგომში - კომპანია)* განიხილა თქვენი №6/62679 წერილი თანდართული დოკუმენტაციით, რომელიც ეხება ადიგენი მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმანში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 427 კვ.მ. *(საკადასტრო კოდი: 61.11.21.851)*, 248 კვ.მ. *(საკადასტრო კოდი: 61.11.21.854),* 726 კვ.მ. *(საკადასტრო კოდი: 61.11.23.357)* და N3-ის მიმდებარედ არსებული 4,426 კვ.მ. *(საკადასტრო კოდი: 61.11.21.654)* მიწის ნაკვეთების პრივატიზების/სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხებს.

გაცნობებთ, რომ №6/62679 წერილში აღნიშნული ტერიტორიებიდან, N61.11.21.851 და N61.11.21.854 საკადასტრო კოდებით უფლებარეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე არ არის განთავსებული კომპანიის კუთვნილი წყალმომარაგების/წყალარინების სისტემები, ასევე კომპანიის მიერ ამ ეტაპისათვის არ არის დაგეგმილი მათზე ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება. შესაბამისად, მითითებული ქონების პრივატიზება არ აფერხებს კომპანიის მიერ მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

ამასთან, №6/62679 წერილში მითითებულ სხვა მიწის ნაკვეთებზე *(საკადასტრო კოდები: 61.11.23.357 და 61.11.21.654)* განთავსებულია კომპანიის კუთვნილი დ=200 მმ-იანი წყალარინების ქსელი, ასევე N61.11.21.654 საკადასტრო კოდით უფლებარეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს დამატებით კვეთს დ=100 მმ-იანი წყალმომარაგების ქსელი *(იხ. დანართი-სიტუაციური ნახაზი).*

კომპანია არ არის წინააღმდეგი, მითითებული მიწის ნაკვეთების განკარგვა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომავალი მესაკუთრის/მოსარგებლის მიერ დაცული იქნება, მათზე განთავსებული, კომპანიის კუთვნილი წყალმომარაგების/წყალარინების მოქმედი ქსელის ექსპლუატაციისათვის საჭირო არეალი *(წყალმომარაგების მილსადენის კედლებიდან ორივე მხარეს 5-5 მეტრი დაშორება და წყალარინების მილსადენის კედლებიდან ორივე მხარე 3-3 მეტრი დაშორება)* და სანიტარიული წესები, საქართველოს საკანონმდებლო/კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.

საქართველო, ქ.თბილისი 0186
ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №5
ტელ: (032) 2 91 90 60
ს/კ: 412670097

e-mail: info@water.gov.ge
www.water. gov.ge

5, Anna Politkovskaya St.
Tbilisi 0186, Georgia
Tel: (032) 2 91 90 60

გასათვალისწინებელია, რომ ექსპლუატაციისათვის საჭირო არეალში დაუშვებელია ნებისმიერი სახის მშენებლობა.

გიგზავნით, აღნიშნული ქსელების (მათი მონაკვეთების) ექსპლუატაციისათვის საჭირო სანიტარული ზოლის *(წყალმომარაგების მილსადენის კედლებიდან ორივე მხარეს 5-5 მეტრი დაშორება და წყალარინების მილსადენის კედლებიდან ორივე მხარე 3-3 მეტრი დაშორება)* აზომვითი სამუშაოების ციფრულ ვერსიას, კომპანიის სასარგებლოდ უსასყიდლო სერვიტუტის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით, ქსელების ექსპლუატაციის ვადით *(მომავალში, აღნიშნული ქსელების დაზიანების თავიდან აცილების, ასევე ავარიის შემთხვევაში შესაბამისი ტექნიკური ღონისძიებების შეუფერხებლად და ოპერატიულად განსახორციელებლად).*

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, N61.11.23.357 და 61.11.21.654 საკადასტრო კოდებით უფლებარეგისტრირებული ქონების განკარგვა ამავე წერილში მითითებული პირობების დაცვით, არ აფერხებს კომპანიის მიერ მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

ამასთანავე დამატებით გაცნობებთ, რომ მიზანშეწონილია მომავალმა მესაკუთრეებმა მიმართონ კომპანიის სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ ფილიალს *(საკონტაქტო პირები: ზურა ჩადუნელი - ფილიალის უფროსი (მობ: 599 40 43 47), თემური მინაძე - ტექნიკური სამსახურის უფროსი (მობ: 577 38 16 28))* წყალმომარაგების/წყალარინების მილსადენის მდებარეობის ადგილზე დასაზუსტებლად.

დანართი: 2 ფურცელი, 2 ციფრული ვერსია.

პატივისცემით,

სალომე ვაშაკიძე

დირექტორის მოადგილე ფინანსურ საკითხებში

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა/ბეჭდური • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE •